შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№12 (9.971)

17-24 აპრილი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

კანონიერი ბერკეტები სასწავლო პროცესში ჩართვისთვის!

გაზეთ „შირაქის“ წინა ნომერში ვწერდით, რომ საქართველოში 10 404 ბავშვი განათლების მიღმა იყო დარჩენილი. განათლების სამინისტრომ პროგლემის მოგვარების მიზნით პირველი ნაბიჯები გადაიდგა.

პირველად, მოსწავლეთა სკოლის მიღმა დარჩენის პრევენციის მიზნით, სასწავლო პროცესში ჩართულობის მონიტორინგის მექანიზმი ამოქმედდა.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, უწყებამ დააწესა რეგულაციები, რომელიც სკოლებს ავალდებულებს, მოსწავლის სკოლაში ან დისტანციური ფორმით ჩატარებულ გაკვეთილებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, რეაგირება მოახდინოს.

მათივე ინფორმაციით, საბოლოო ჯამში, იმისათვის, რომ მოზარდი სკოლის მიღმა არ აღმოჩნდეს, პროცესში მთელი განათლების სისტემა ერთვება.

„აღნიშნულ რეგულაციებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის საერთაშორისო კონსულტანტთან და UNESCO-ს განათლების მკვლევარებთან ერთად იმუშავა. სწორედ მათ რეკომენდაციებსა და საერთაშორისო გამოცდილებას დაეფუძნა შესაბამისი დოკუმენტი.

რეგულაციები რამდენიმე ეტაპს მოიცავს. კერძოდ, მინისტრის ბრძანების მიხედვით, პირველ ეტაპზე, მოსწავლის სკოლაში/გაკვეთილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ყოველდღიური მონიტორინგის საფუძველზე, არაუგვიანეს მე-10 დღეს, კლასის დამრიგებელი ვალდებულია სკოლის ადმინისტრაციას წარუდგინოს წერილობითი ანგარიში. დოკუმენტში გარკვევით იქნება გაწერილი მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან მუშაობის 10-დღიანი ანგარიში (გაცდენის მიზეზის დადგენა, მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის აღწერა და სხვ.). ამასთან, მთავრობის დადგენილებით, იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური პრობლემების გამო მოსწავლეს არ აქვს წვდომა „ტელესკოლასა“ და ონლაინსწავლებაზე, მასწავლებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მასთან კომუნიკაცია ნებისმიერი, მათ შორის სატელეფონო ფორმით. ხოლო მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, ითანამშრომლოს სკოლასთან. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, მოსწავლე დისტანციური სწავლების დროს სტატუსის შეჩერებისგან დაცულია.

ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ კი, პროცესში კლასის დამრიგებელთან ერთად, განათლების სისტემის სოციალური მუშაკები ჩაერთვებიან, რომლებსაც აქვთ ვალდებულება, ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელონ ოჯახში ვიზიტი. განათლების სოციალური მუშაკები მოზარდის სასწავლო პროცესში დაბრუნების მიზნით იმუშავებენ მოსწავლესთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან“, - აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე ინფორმაციით, განათლების სისტემა ყველა კანონიერ ბერკეტს გამოიყენებს მოზარდის სასწავლო პროცესში ჩასართავად. „იმ შემთხვევაში, თუ აღწერილი ეტაპების გავლის შემდეგ, მოსწავლე არასაპატიო მიზეზების გამო სკოლაში მაინც არ გამოცხადდა, მას მოსწავლის სტატუსი უჩერდება, თუმცა, სტატუსის აღდგენა შესაძლებელია მშობლის განცხადების საფუძველზე, მიმართვისთანავე.

აღსანიშნავია, რომ აქამდე მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების საფუძვლად 90 სასწავლო დღის განმავლობაში სკოლის ზედიზედ გაცდენა ითვლებოდა, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდია და მოიცავს სასწავლო წლის ნახევარზე მეტს. აქამდე სკოლას არ ჰქონდა ვალდებულება, მოზარდის სკოლაში დასაბრუნებლად გაეტარებინა საჭირო ღონისძიებები. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე 90-დღიანი ვადის ამოწურვამდე ერთხელ მაინც გამოცხადდებოდა სკოლაში, მისთვის გაცდენების აღრიცხვა თავიდან იწყებოდა. შესაბამისად, მოზარდი მოსწავლის სტატუსით სარგებლობას აგრძელებდა იმის მიუხედავად, რომ ფაქტობრივად საგანმანათლებლო პროცესის მიღმა იყო დარჩენილი და სასწავლო პროგრამა აუთვისებელი რჩებოდა. ამასთან, სკოლას არ ჰქონდა ვალდებულება, მოსწავლის სასწავლო პროცესიდან ჩამოშორების პრევენციის მიზნით, დროულად მოეხდინა შესაბამისი რეაგირება.

აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს განათლების სისტემას, უზრუნველყოს თითოეული მოზარდის განათლების ფუნდამენტური უფლების დაცვა“, - ნათქვამია განათლების უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ალოობის საკოორდინაციო შტაბი 2021

ალოობის საკოორდინაციო შტაბი 2021 შეიქმნა

გვ. 2

„უნდა მებრძოლა, რომ არ დავცემულიყავი“...

გვ.8

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე აიცრა

გვ.2

როგორ ცხოვრობენ ფიროსმანში?

გვ. 3

ჯიბით სატარებელი უსაფრთხოება

გვ. 3



C M Y K

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე აიცრა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი „ასტრაზენეკას“ ვაქცინით თელავის „ევექსის“ კლინიკაში 15 აპრილს აიცრა.

ნუგზარ პაპიაშვილი თავს კარგად გრძნობს და მოქალაქეებს მოუწოდებს, რომ აიცრან: **„კოვიდპანდემიის დამარცხება თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობისა და ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამიტომაც მოგიწოდებთ, გამოიყენოთ საშუალება და აიცრათ, რათა ერთად დავამარცხოთ კაცობრიობის მტერი ვირუსი“**- განაცხადა ნუგზარ პაპიაშვილმა.

მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ერთიანი პლატფორმა ინერგება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრსტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით და საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამსრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ერთიანი პლატფორმა ინერგება.

პროექტის განმახორციელებელია სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდი“, რომლის ფარგლებში ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო “ თბილისის მუნიციპალიტეტის პრაქტიკასა და გამოცდილებას საქართველოს 63 მინიციპალიტეტში გააზიარებს. მათ შორის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტშიც.

პროექტის მიზანია ელექტრონული მმართველობის ერთიანი სტანდარტის შექმნის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურობისა და გამჭირვალობის გაზრდა.

ალოობის საკოორდინაციო შტაბი 2021

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანი სოციალურ ქსელში განცხადებას აქვეყნებს:

„თუ აქტიურად ადევნებთ აგრარულ საკითხთა კომიტეტის საქმიანობას თვალს, შენიშნავდით რომ გასულ თვეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გვქონდა შეხვედრები ადგილობრივ ფერმერებთან.

*სწორედ, ამ შეხვედრის ფარგლებში დღის წესრიგში დადგა ალოობის პერიოდში ფერმერთათვის მოსავლის აღებისა და დაბინავების პროცესში დახმარების საჭიროება.

*კომიტეტის ინიციატივით და შუამდგომლობით სამინისტროში 2021 წლის ალოობის დაწყებამდე შეიქმნება „ალოობის საკოორდინაციო შტაბი 2021“, რომელიც ადგილზე ფერმერებს სათანადო დახმარებას გაუწევს მოსავლის აღებისა და დაბინავების პროცესში.

*გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს კომიტეტთან და მივესალმებით ფერმერების თხოვნაზე ასეთ დროულ რეაგირებას “

კონკურს - „სუფთა რეგიონი-2020“ - ს გამარჯვებულები ცნობილია

14 აპრილს კონკურსი - „სუფთა რეგიონი-2020” დასრულდა და მისი გამარჯვებულებიც ცნობილია. „სუფთა რეგიონი-2020” ტიტულის მფლობელი ზედიზედ მესამედ კახეთის რეგიონი გახდა. ამის შესახებ ინფორმაციას ფეისბუქის გვერდზე კახეთის მხარის გვერდი ავრცელებს.

მარტში საქართველოში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი გაიზარდა და 201 ლარს შეადგენს

2021 წლის მარტში საქართველოში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი გაიზარდა და 201ლარს შეადგენს. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, მარტში წინა თვესთან შედარებით, საარსებო მინიმუმი 3.8 ლარით გაიზარდა.

გასულ თვეს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 201.0 ლარს შეადგენდა, მაშინ როცა 2021 წლის თებერვალში ეს მაჩვენებელი 197.2 ლარი იყო.

„საქსტატის“ ცნობით, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი, მარტში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 5.1 ლარით არის შემცირებული. შარშან მარტში საარსებო მინიმუმი 206.1 ლარი იყო. მათივე მონაცემებით, თებერვალთან შედარებით, მარტში 3.4 ლარითაა გაზრდილი საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი და 178.1 ლარს შეადგენს.

რაც შეეხება 2020 წლის ანალოგიურ პერიოდს, შარშან მარტში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 182.6 ლარს შეადგენდა.

საქართველოში მესამე ტალღა დაიწყო

16 აპრილს საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების 1 077 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, ქვეყანაში ბოლო 24 საათში 31 645 ტესტი ჩატარდა. Stopcov.ge-ზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ინტენსიური ტესტირების ფარგლებში, ბოლო 24 საათში ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 31 645 კვლევა ტესტით, მათ შორის 20 727 კვლევა ანტიგენის ტესტით და 10 918 PCR ტესტით. ჩატარებული ტესტირების შედეგად, ბოლო 24 საათში გამოვლინდა ვირუსით ინფიცირების 1 077 ახალი დადასტურებული შემთხვევა. ქვეყანაში კოვიდ-19-ის პანდემიის გავრცელებიდან დღემდე გამოვლენილი დადასტურებული შემთხვევების საერთო რაოდენობა შეადგენს 293 321-ს.

რაც შეეხება დადებითობის მაჩვენებელს, 15 აპრილის მდგომარეობით, დადებითობის დღიური მაჩვენებელი არის 3.4 %, ბოლო 14 დღის მანძილზე - 2.77%, ხოლო 7 დღის მანძილზე - 2.04 %. ბოლო 24 საათში ვირუსისგან გამოჯანმრთელდა 442 პირი, ხოლო ჯამში გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა გაიზარდა - 279 831-მდე. ბოლო 24 საათში კორონავირუსით გარდაცვალების 8 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. პანდემიის გავრცელებიდან დღემდე ვირუსს ჯამში 3 916 პირი ემსხვერპლა. დღეს ქვეყანაში გამოვლენილი ინფიცირების 1 077 ახალი შემთხვევიდან: თბილისში გამოვლენილია 641 შემთხვევა, აჭარა - 97, იმერეთი - 52, ქვემო ქართლი - 44, შიდა ქართლი - 38, გურია - 27, სამეგრელო - ზემო სვანეთი - 109, კახეთი - 36, მცხეთა-მთიანეთი - 22, სამცხე-ჯავახეთი - 5, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 6. ამ ეტაპზე ინფიცირების მიმდინარე აქტიური შემთხვევა არის 9 548, საიდანაც: 2 720 ადამიანი მკურნალობს საავადმყოფოში, მათ შორის, თბილისის საავადმყოფოებში - 1 381, აჭარაში - 391, იმერეთში - 361. ამ ეტაპზე მძიმე პაციენტია 466 პირი, მათ შორის, თბილისში - 224, აჭარაში - 67, იმერეთში -77. ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იმყოფება 87 პირი, მათგან თბილისში - 62, აჭარაში - 8, იმერეთში - 8. 400 ადამიანი მოთავსებულია კლინიკურ-სასტუმროებში, მათ შორის 209 - თბილისში, 177 - აჭარაში. 6 428 პირი ვირუსის მკურნალობის კურსს გადის საცხოვრებელ ბინაზე. საკარანტინე სივრცეებში მოთავსებულია 331 ადამიანი, მათ შორის, თბილისში - 249, ხოლო აჭარაში - 4.სულ 6 ოქტომბრიდან - 15 აპრილის პერიოდში, სახელმწიფო საზღვრიდან საკარანტინე სივრცეებში გადაყვანილია - 24 380 პირი. ამ ეტაპისთვის თვითიზოლაციაში იმყოფება 15 263 ადამიანი.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მონაცემებით, დედოფლისწყაროში 7კოვიდინფიცირებულია რეგისტრირებული. თვითიზოლაციაში იმყოფება 19 პირი. საზოგადოებრივი ჯანდაცვა მოგიწოდებთ, დაიცვათ რეგულაციები და ატაროთ პირბადე, რაც ხელს შეუწყობს კორონავირუსის შემთხვევათა კლებას.

ჯიბით სატარებელი უსაფრთხოება

„მეშინია. მთელს დღეებს შიშში ვატარებ. არ ვიცი ჩემი შვილი შინ მშვიდობით მოვა თუ არა. იმიტომ, რომ მას გაავებული და საკმაოდ მოზრდილი ძაღლი ფეხდაფეხ მოჰყვება და სახლში წამოსვლის საშუალებას არ აძლევს. სამსახურშიც მუდმივად ამ პრობლემაზე ვფიქრობ. ხშირად, შეშინებულს და ატირებულს დაურეკავს და უთქვამს, დედა, ძაღლები არიან და სკოლიდან ვერ გამოვდივარო. უკვე იმაზეც დავიწყე ფიქრი, რომ შიშის გამო ბავშვს ფსიქოლოგიური პროგლემები არ შეექმნას. ბავშვის ფსიქიკა ხომ ძალიან სათუთი რამაა. არ ვიცი, ასე სადამდე შეიძლება გაგრძელდეს და ჩვენი საშველი როდესმე დადგება თუ არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია... ჩვენი კონსტიტუციური უფლება – ვიცხოვროთ უსაფრთხო გარემოში, ნამდვილად ირღვევა“ - ამბობს გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ერთ-ერთი სუპერმარკეტის თანამშრომელი.

ტის უკვე არაერთ ქუჩას „აკონტროლებს“.

„სულ ახლახანს, 90 წლის მოხუცი დაკბინა ძაღლმა. ნაკბენი იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ ადამიანი საავადმყოფოშიც კი მოხვდა. მეორე შემთხვევა დედა-შვილს უკავშირდება. დედა დაცვის მიზნით შვილებს გადაეფარა და ამ დროს ის ასევე ძაღლმა დაკბინა. ფიროსმანის ქუჩაზე მოხუცებულ მამაკაცს აედევნა ძაღლი, გაქცევისას მამაკაცი წაიქცა და ლამის სასწრაფოს გამოძახებაც კი გახდა საჭირო. ხალხი პოლიციას იძახებს, რომ თავი დაიცვას. ვინ მოთვლის კიდევ რამდენი შემთხვევაა, რომელიც უყურადღებოდ რჩება“ - ამბობს ჩვენთან ერთ-ერთი თვითმხილველი.

ეს პიროვნება კი არც პირველი აღმოჩნდა და არ უკანასკნელი, რომელმაც ჩვენ ამ თემაზე მოგვმართა. გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტის უმრავლესობისთვის ეს საკითხი ძალიან მტკივნეულია. განსაკუთრებით ფეხით მოსიარულეებისთვის. სულ ახლახანს, ჰერეთის ქუჩის ერთ ნაწილზე გამოჩნდა ასეთი წარწერა: **„გადადით იქეთ ტროტუარზე, ძაღლი იკბინება“.** ალბათ, იფიქრებდით, რომ ეს ამ ქუჩაზე მცხოვრები რომელიმე მოსახლის ძაღლი იყო და პატრონი აფრთხილებდა გამვლელებს, მაგრამ ასე სულაც არ აღმოჩნდა. ეს გაფრთხილება კეთილი და ყურადღებიანი ხალხის მიერ იყო დაწერილი, რომლებიც არაერთხელ გახდნენ მოწმე იმისა, თუ როგორ ერჩოდა ქუჩაზე უპატრონო ძაღლი გამვლელებს. ეს ჯერ კიდევ არაფერია იმასთან, თუ როგორი ზომების მიღება უწევთ ფეხით მოსიარულეებს, რომლებსაც უსაფრთხოების მიზნით ჯიბით ხმოვანი ელექტრომოწყობილობები დააქვთ, რათა მათკენ მომავალი გაავებული ძაღლი დააფრთხონ. ხალხმა სხვა, ჰუმანური მეთოდიც კი აირჩია მათ მოსაგერიებლად. ეს ჯიბით პურის ტარება აღმოჩნდა. საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ისინი მზად არიან, პარალელურად გამოკვებონ კიდეც „თავდამსხელი“ ძაღლები, რადგან სხვანაირად მათი უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ამ სიტუაციამ

მოსახლეობა მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ დაიწყო ხელმოწერების შეგროვება, დაიწერა ერთობლივი განცხადება, სადაც მიმართავენ მუნიციპალიტეტის მერს, რათა დაუყოვნებლივ მიიღონ შესაბამისი ზომები ამ საკმაოდ მწვავე პრობლემის მოსაგვარებლად.

გაზეთი „შირაქი“ ამ საკითხთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს დაუკავშირდა: „დიდი მადლობა გაზეთ „შირაქს“, რომ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ამ პრობლემას შეეხო, რადგან საკითხი ნამდვილად აქტუალურია. ჩვენც ვიცით, რამდენად მტკივნეულია უპატრონო ძაღლების საკითხი დედოფლისწყაროში. მოგეხსენებათ, რომ შარშან მერიამ გამოყო თანხა, 5000 ლარზე მეტი, მაწანწალა ძაღლების სტერილიზაციისა და აცრებისთვის. იცით, რომ ეს ძალიან ძვირი სიამოვნებაა და მუნიციპალიტეტს ნამდვილად არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ მთლიან მუნიციპალიტეტში გაგვეკეთებინა მსგავსი აქციები. მაგრამ, რადგან საკითხი არაერთ მუნიციპალიტეტში ძალიან მწვავედ იდგა, ჩვენ, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, უკვე გასულ წელსვე დავიწყეთ მუშაობა აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად. შედეგად, ხელისუფლების დახმარებით, ქალაქ გურჯაანში აშენდა კახეთის რეგიონალური თავშესაფარი. აღნიშნული შენობა და ინფრასტრუქტურა გამზადებულია და დღევანდელ დღეს უკვე დღის წესრიგში დგას თავშესაფრის გამართული ფუნქციონირების დაწყება. ჩვენ ინიცირებული გვაქვს უპატრონო ძაღლებთან დაკავშირებული საკითხი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში და სხდომაზე მას აუცილებლად განვიხილავთ. ამ ინიცირებით, მუნიციპალიტეტის მერია იღებს ნებართვას, რომ სხვა დანარჩენ რვა მუნიციპალიტეტთან ერთად ჩამოაყალიბოს ერთი რეგიონალური სამსახური, რომელიც აღნიშნული პრობლემის გადაჭრაზე იმუშავებს. უნდა ითქვას, რომ დამაგვირგვინებელ ეტაპზე ვართ. მას შემდეგ, რაც საკრებულოდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია მიიღებს ნებართვას, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი შვიდი მუნიციპალიტეტი, ჩამოვაყალიბებთ ერთობლივ ორგანიზაციას, რომელიც მალევე აღიჭურვება სპეციალური აპარატურითა და საჭირო ინვენტარით, და ვფიქრობ, უახლოეს პერიოდში, საუბარია მაქსიმუმ 2-3 თვეზე, ეს სამსახური აქტიურად შეუდგება სამუშაოს. მოსახლეობას ბოდიშს ვუხდით შექმნილი უხერხულობის გამო. ეს საკითხი, დიდი ხანია, დღის წესრიგში დგას. მადლობა მათ იმისთვისაც, რომ ამდენი ხანი მოთმინებით ელოდნენ კანონიერი და სწორი გადაჭრის გზის ძიებას. ეს პერიოდიც დადგა და ძალიან მალე, ჩვენს ქუჩებში არსებული უპატრონო ძაღლების პრობლემა გადაიჭრება.“

პ.ს ჯიბეში დამალული უსაფრთხოება დიდი ხნით ვერ იმუშავებს. ფაქტია, რომ საფრთხე არა თუ იკლო, მოიმატა. ჯიბეში დამალული უსაფრთხოება პრობლემის რეალური გადაწყვეტა კი არა, დროის მოცემულ მონაკვეთში საშიშროების დროებითი აცილებაა. და კიდევ, პური რომელიც ზოგჯერ ადამიანს დღიურად აძვს გათვლილი, სამწუხაროდ, თავდაცვის გამო, „იძულებითი მოწყალების“ საგანი ხდება. იმედის მომცემად ჟღერს ის, რომ პრობლემის მოგვარების რეალური გზა გამონახულია. მთავარია, ლოდინმა ჯიბეში დამალული უსაფრთხოებაც არ ამოაცალოს მომავალი დღის არსებობაში ეჭვშეტანილ და გაურკვევლობაში მყოფ მოსახლეობას.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა ბენაშვილი

როგორ ცხოვრობენ ფიროსმანში?

მოსახლეობა საჭირო სპეციალობების დეფიციტსა და ინფორმაციულ ვაკუუმს განიცდის

სოფელი ფიროსმანი საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარეობს. სოფელს მდინარე ალაზანი ესაზღვრება. ის საქართველო-აზერბაიჯანს შორის ბუნებრივი საზღვრის ფუნქციას ასრულებს. მართალია, ალაზანი თევზის სხვადასხვა სახეობის მდიდარი საბადოა და ერთი შეხედვით, მოსახლეობისთვის ის მხოლოდ საჭირო საკვებით უზრუნველყოფასთან და ეკონომიკურ სარგებელთან უნდა ასოცირდებოდეს, მაგრამ მთლად ასე მარტივადაც არაა საქმე. ის პრობლემების სათავეც ხშირად ხდება ორი ქვეყნის მოქალაქეებს შორის, ისევე, როგორც თავად ალაზანი - ქვეყნებს შორის პირობითი საზღვარი.

სოფელში ეკომიგრანტები ცხოვრობენ. აჭარიდან ჩამოსახლებული ადამიანები, რომლებიც დღეს სოფელს და ქვეყნის საზღვარს ერთნაირად ამაგრებენ. ფიროსმანში საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. შორიდანვე შეამჩნევთ სოფლის ცენტრში მდგარ ლამაზად მოხატულ შენობას. მისი რეაბილიტაციის შემდეგ ბაღი დადგენილ სტანდარტებს აკმაყოფილებს, ბავშვებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი. 45 აღსაზრდელი აქ სკოლამდელ განათლებას იღებს.

სოფელში ერთ-ერთი აქტუალური თემა მიწების პრივატიზების საკითხი და საჭირო პროფესიების დეფიციტია. ასე მაგალითად, სოფელში არ ჰყავთ აგრონომი და ექიმი ვეტერინარი. კოლეჯ „აისის“ დედოფლისწყაროს ფილიალში ეს ფაკულტეტები თავის დროზე იყო, მაგრამ კონტიგენტის ნაკლებობის გამო, მალე გაუქმდა. „კარგი იქნებოდა, სპეციალური ავტობუსი რომ დანიშნულიყო ჩვენი სოფლიდან სოფელ სამრეკლომდე. აქ არიან ამ სპეციალობის შესწავლის მსურველები, მაგრამ ტრანსპორტირება სერიოზულ პრობლემას უქმნის მათ“-გვითხრეს ფიროსმანში. მოსახლეობა მიესალმება დისტანციურ სწავლებასაც, მაგრამ აქ ინტერნეტის სიხშირის პრობლემა სერიოზულ სირთულეს ქმნის. „იორნეტი გვაქვს გაყვანილი, მაგრამ ამ ქსელის პირობებში, ინტერნეტი გინდ გქონია, გინდ-არა. ძალიან ნელია და, პრაქტიკულად, ინფორმაციულ ვაკუუმში ვიმყოფებით. ამიტომ, ასეთი ინტერნეტის პირობებში, დისტანციურ სწავლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“.

ფიროსმანის მცხოვრებლები ამბობენ, რომ „ცუდი ინტერნეტის“ გამო, ისინი ინფორმაციულ ვაკუუმს განიცდიან. იმის გამო, რომ ინტერნეტი განწყობის მიხედვით ხან მოდის და ხან-მიდის, ბევრ საჭირო ინფორმაციას მაშინ იღებენ, როცა ის უკვე ყავლგასულია.

მოსახლეობა აცხადებს, რომ ძალიან უყვართ სოფელი, აცნობიერებენ, რომ აქ ისინი ცოცხალი საზღვრის ფუნქციას ასრულებენ და ამიტომ, სოფლიდან არსად მიდიან, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პრობლემა აწუხებთ და აჭარაში დასაბრუნებელიც აქვთ. „ვიცით, აქაურობა რომ მივატოვოთ, უცხოტომელები დაეპატრონებიან ამ ნაყოფიერ მიწებს. ჩვენ ვცდილობთ, არავის მივყიდოთ უძრავი ქონება. გვინდა, რომ ჩვენი სოფელი მეტად ლამაზი და ბარაქიანი გახდეს“-ამბობენ ფიროსმანელები.

ხვავისა და ბარაქის სიმბოლო - ვენახის პლანტაციები აქ თვალუწვდენელ მწკრივებადაა გადაჭიმული. უვლიან სამშობლოს სიმბოლოდ აღიარებულ ვაზს და იმედი აქვთ, რომ წელს კარგ მოსავალს მიიღებენ და რეალიზაციასაც სასურველ ფასად მოახდენენ. მევენახეები მიესალმებიან მთავრობის ახალ ინიციატივას ვენახების კადასტრისა და ყურძნის ხარისხის განსაზღვრის თაობაზე. მათი აზრით, ეს დადებითად აისახება ხარისხიანი ყურძნის მწარმოებლებზე. მას შემდეგ, რაც სოფელში სარწყავი სისტემა დამონტაჟდა, ბევრი პრობლემა მოგვარდა, მათ შორის ვენახების მორწყვის საკითხიც წარსულს ჩაბარდა.

ფიროსმანის მოსახლეობა იმედს იტოვებს, რომ ხელისუფლება მათ ისევე მოუგვარებს არსებულ პრობლემებს, როგორც სარწყავი სიტემის რეაბილიტაციის საკითხი გადაჭრა.

ინგა ჭიოლაშვილი

ძლიერი ქალები სოფლად

კოვიდპანდემიის დროს დიდი თუ მცირე ბიზნესი სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგა, კრიზისი განსაკუთრებით მძიმედ სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ქალებს შეეხო, დიდი ნაწილი სამსახურისა და შემოსავლის გარეშე დარჩა. სწორედ ამ დროს კახეთში მცხოვრებმა რამდენიმე ქალმა საკუთარი ბიზნესი წამოიწყო. ყველაფერი კი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში" პროგრამის ფარგლებში გაცემული გრანტის წყალობით დაიწყო... პროექტი — „ქალთა ბიზნესის მხარდაჭერა" სიღნაღში, ლაგოდეხსა და დედოფლისწყაროში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას ისახავდა მიზნად და ახალი ბიზნესის დასაწყებად, ან უკვე არსებული საქმის გასაფართოებლად საწარმოო ინვენტარის შეძენას ითვალისწინებდა. გრანტის მისაღებად მთავარი იყო კარგი ბიზნესიდეის მოფიქრება და მინიმუმ 10%-იანი ფინანსური თანამონაწილეობა.

სიღნაღში, ლაგოდეხსა და დედოფლისწყაროში მცხოვრებ ქალთა შორის ინფორმაცია პროექტის შესახებ სწრაფად გავრცელდა, ივლისში პირველი საკონსულტაციო შეხვედრებიც გაიმართა. გრანტის მიღების სურვილი დიდი იყო, მაგრამ ბიზნესში გამოუცდელ ქალებს კონკურსში გამარჯვების იმედი ნაკლებად ჰქონდათ. თუმცა, სტიმულს აძლევდათ ის, რომ პროექტის ერთ-ერთი პრიორიტეტი სტარტაპების (start-up) მხარდაჭერა იყო. GIZ-ის ექსპერტების მიერ ჩატარებული ტრენინგებისა და კონსულტაციების წყალობით, ქალებმა თავისი იდეები მალე პროექტებად აქციეს. კონკურსში 12 საუკეთესო ბიზნესგეგმის ავტორმა გაიმარჯვა, რომელთა შორის 6 დედოფლისწყაროდანაა.

სამივე მუნიციპალიტეტში ქალთა ბიზნესის ხელშეწყობისთვის გამოყოფილი გრანტის ფარგლებში კონკურსში გამარჯვებულმა ქალებმა, GIZ-ის კონტრაქტორი არასამთავრობო ორგანიზაციის - „მომავლის ფერმერის" მხარდაჭერით, სხვადასხვა ინვენტარი და შენობა-ნაგებობების ასაშენებლად საჭირო სამშენებლო მასალები შეიძინეს.

GIZ-ის პროგრამის **„კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში"** პროექტის - **„ქალთა ბიზნესის მხარდაჭერა"** მთავარი მიზანი იყო, გრანტის ფარგლებში ქალთა ისეთი ინიციატივები დაფინანსებულიყო, რომელიც სიცოცხლისუნარიანი იქნებოდა, გრძელვადიან ეკონომიკურ საქმიანობას შეუწყობდა ხელს, ადგილზე დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნიდა და რეგიონში მცხოვრებ ქალებს გააძლიერებდა.

საკუთარი საქმის დასაწყებად გრანტი მიიღო მანანა კიკაძემ დედოფლისწყაროდან. იგი წლების განმავლობაში თბილისში ოჯახებში დამხმარედ მუშაობდა, რათა მიღებული შემოსავლით შვილებისთვის კარგი განათლება მიეცა. **„ყველას და ყველაფერს მოწყვეტილი ვიყავი. სახლში დაბრუნება ძალიან მინდოდა, მაგრამ დედოფლისწყაროში უმუშევრობა მელოდა და ამიტომ ისევ თბილისში ვრჩებოდი"**, - ამბობს მანანა კიკაძე.

კოვიდპანდემიის გამო თბილისშიც უმუშევრად დარჩა. ოჯახებმა, რომლებთანაც წლების განმავლობაში მუშაობდა, ველარ შეძლეს მასთან ურთიერთობის გაგრძელება. სწორედ ამ დროს ახლობელმა დაურეკა, დედოფლისწყაროში გერმანული ორგანიზაცია ქალებს მცირე გრანტს აძლევს ბიზნესის დასაწყებად და, თუ იდეა გაქვს, შეგიძლია, ბედი სცადოო. საკუთარი საქმის დაწყებაზე უკვე დიდი ხანია, ფიქრობდა და იდეაც ჰქონდა, რომელიც თბილისში ერთ-ერთ სამკერვალოში ბუმბულის ძველი ბალიშების განახლების შემდეგ გაუჩნდა. დედოფლისწყაროში ასეთი სამკერვალოს გახსნაზე ოცნებობდა. ბიზნესის დასაწყებად საჭირო ყველა დეტალი კარგად რომ შეესწავლა, თავის დროზე ხაშურშიც კი ჩავიდა მსგავსი სამკერვალოს მფლობელი ახლობლისგან კონსულტაციის მისაღებად. თუმცა, რესურსების შეფასების შემდეგ სამკერვალოს გახსნაზე ოცნება მომავლისთვის გადადო.

მანანა კიკაძე: **„ამ პროექტის წყალობით თავიდან დავიბადე, გამაცოცხლა. ჩემს სახლში დამაბრუნა და თან საკუთარი საქმე მაქვს. რომ არა ეს პროექტი, ჩემს იდეას ნამდვილად ვერ განვახორციელებდი. თავიდან ცოტა უიმედოდ ვიყავი, პროექტის წერაში გამოუცდელი ვარ და არ მეგონა, თუ დამაფინანსებდნენ, თუმცა, სხვა ქალებთან ერთად, ბიზნესგეგმის წერის ტრენინგები გავიარე. ყველაფერი კარგად გვასწავლეს, ცხოვრებაში პირველი პროექტი დავწერე და გავიმარჯვე"**.

კონკურსში გამარჯვების შემდეგ მიღებული გრანტით მაღალი სტანდარტების საკერავი მანქანა, ბუმბულის საპენტი დანადგარი, ოვერლოკის მანქანა, ინტეგრირებული საუთოებელი მაგიდა და ორთქლის უთო შეიძინა. სამკერვალო დროებით საკუთარ სახლში გახსნა და უკვე პირველი შეკვეთაც მიიღო. როგორც თავად ამბობს, პროექტის ფარგლებში მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ ისე გაათამამა, რომ „აწარმოე საქართველოსთვისაც" დაწერა პროექტი. ახლა უკვე საბნისა და ლეიბისთვის საჭირო მასალის დასამუშავებელი აპარატის შეძენა სურს, რომ სრულყოფილი საწარმო ჰქონდეს. იმედი აქვს, რომ გაზაფხულიდან აქტიურად დაიწყებს მუშაობას, სამკერვალოსთვის ფართს დაიქირავებს და სხვა ქალებსაც დაასაქმებს.

თებროლე ბენაშვილიც დედოფლისწყაროელია. ის სოფელ არბოშიკში ჟოლოს ბაღის გაშენებას გეგმავს და ადგილობრივ მოსახლეობას ამ სასარგებლო პროდუქტის დეფიციტის პრობლემას გადაუჭრის. პანდემიით გამოწვეულმა მდგომარეობამ თებროლე აიძულა, ამ მიმართულებით დაეწყო საქმიანობა. **„წლების განმავლობაში ვამუშავებ საკარმიდამო მიწის ნაკვეთს. მომყავს ოჯახისათვის საჭირო ბოსტნეული, ხილი, კენკრა. გამოჩნდა პროექტი, რომლის გამარჯვებულიც ვარ და მივხვდი, ეს შემოთავაზება და ჟოლოს ბაღის გაშენება ზუსტად მორგებული იქნებოდა ჩვენთვის და ჩვენი სოფლის მცხოვრებლებისთვის. საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე უკვე გადავრგე ჟოლოს ნერგები, ჩავყარე ბოძები. დარჩენილია მხოლოდ წვეთოვანი სისტემის მოწყობა"**, - ამბობს თებროლე. არბოშიკელი ქალბატონისთვის პროექტში მონაწილეობა საინტერესო აღმოჩნდა. მისთვის მნიშვნელოვანი გალხდათ როგორც ინვენტარის კუთხით განეული დახმარება, ისე პრაქტიკული და საჭირო ინფორმაციის მიღება მომავალი საქმიანობის სწორად წარმართვისთვის. **„ეს პროექტი ჩემი მიზნის განხორციელებაში ძალიან დამეხმარა. შემიძინეს კულტივატორი, ბალახის სათიბელა და ბევრი ისეთი რამ, რომლის ყიდვაც პანდემიის პირობებში ძალიან გამიჭირდებოდა"**, — ამბობს თებროლე ბენაშვილი. მან ასევე აღნიშნა, რომ თითოეულმა დარგულმა ნერგმა იხარა და პირველ მოსავალს ის უკვე შემოდგომაზე ელოდება.

პროექტის კიდევ ერთი გამარჯვებული, მარინა ჯაბალაშვილიც სოფელ არბოშიკიდანაა. ის ხილისა და ბოსტნეულის მაღაზიის გახსნას გეგმავს და გარშემო 2-3 სოფელს ბოსტნეულით მომარაგების პრობლემას გადაუჭრის. პანდემიის გამო ქალბატონი მარინას ოჯახი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. უმუშევრად დარჩნენ მისი შვილები. ოჯახში, სადაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ, მნიშვნელოვნად შემცირდა შემოსავალი. სწორედ ამ დროს გაჩნდა ხილისა და ბოსტნეულის მაღაზიის გახსნის იდეაც. მით უფრო, რომ დაწესებული შეზღუდვების გამო, სოფელი დისტრიბუციით ველარ მარაგდებოდა, რამაც დეფიციტი გააჩინა. **„ამ ფონზე ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მიმეღო ფინანსური მხარდაჭერა და ამ პროექტის მეშვეობით შევძელი, იდეა რეალობად მექცია. გარდა ფინანსური მხარდაჭერისა, შევიძინე ცოდნა და უნარები ბიზნესის მართვის მიმართულებით და დავინახე, როგორ შეიძლება, ნებისმიერი, ყველაზე უბრალო და ყოველდღიური საქმიანობაც კი, სწორად დაგეგმვის პირობებში, იქცეს მომგებიან საქმიანობად. სამომავლოდ ვგეგმავ ხილსა და ბოსტნეულს დავამატო სხვა პროდუქციაც, რომელზეც იქნება მოთხოვნა სოფელში და, აგრეთვე, ხელი შევუწყო სოფელში ნაწარმოები პროდუქციის რეალიზაციას. პანდემიის გამო კი გაჭინაურდა სამშენებლო სამუშაოები, მაგრამ უახლოეს პერიოდში დავასრულებთ. იმედი მაქვს, რომ ეს მაღაზია თავის ფუნქციას სრულად შეასრულებს"**, — ამბობს მარინა ჯაბალაშვილი.

ქეთევან ძოძაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანში მცხოვრები ქალია, რომელიც ამავე სოფელში საკუთარი ქვევრის ღვინის-„შალვა ნატროშვილის მარანის" პოპულარიზაციისთვის ღვინის სადეგუსტაციო დარბაზის მოწყობას გეგმავს. **„2014 წელს გავაშენეთ ვენახი, სადაც 4 სახეობის ვაზი გვაქვს დარგული. აღვადგინეთ პაპისეული მარანი და ქვევრის ღვინოს ვაყენებთ. პანდემიამდე მონაწილეობას ვიღებდით სხვადასხვა გამოფენაში. ამ გამოფენებზე ჩვენმა ღვინომ დიდი მოწონება დაიმსახურა. ღვინის მოყვარულები გვეკითხებოდნენ, ადგილზე შეეძლოთ თუ არა მოსვლა და დეგუსტაცია. აქედან გაჩნდა იდეა, რომ აგვეშენებინა ღვინის საცავი და სადეგუსტაციო დარბაზი. დავიწყეთ მშენებლობა, მაგრამ კოვიდპანდემიამ მის დასრულებაში ხელი შეგვიშალა. ამ დროს გამოჩნდა ეს პროექტი, რომელმაც საშუალება მოგვეცა, შენობის მოპირკეთება გაგვაგრძელებინა. ამის გარდა, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იმ ცოდნის მიღება, რაც პროექტში მონაწილეობისას მივიღე - ეს საკუთარი ბიზნესის სწორად წარმართვისთვის და სამომავლოდ გაფართოებისთვის გამომადგება. თუმცა, პანდემიამ ხელი შეგვიშალა მთლიანად დაგვესრულებინა სადეგუსტაციო დარბაზის მოწყობა, გარე ფასადის მოპირკეთების სამუშაოებს ცოტა ხანში დავასრულებთ. იმედი გვაქვს, რომ პანდემია მალე გადაივლის და ტურისტებიც გვეყოლება"**, - ამბობს ქეთევანი.

ხათუნა მაძღარაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის, სოფელ ზემო მაჩხაანში მცხოვრები ქალია, რომელიც ამავე სოფელში პურის საცხობის მოწყობას გეგმავს და ადგილობრივ მოსახლეობას საღამოს საათებში პურის დეფიციტის პრობლემას გადაუჭრის. ის „მომავლის ფერმერისა" და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში" ერთობლივი პროექტის გამარჯვებულია.Covid19-თან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების გამო ხათუნას ოჯახი ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა ამ მიმართულებით დაეწყოთ საქმიანობა, მით უმეტეს, რომ მისი ოჯახისთვის პურის საცხობის თემა უცხო არ იყო. **„ჩემი მეუღლე წლების განმავლობაში მუშაობდა თონეში. პანდემიის პირველი ტალღის პერიოდში კი სამსახურში ველარ დადიოდა. ამ დროს გამოჩნდა პროექტი, რომლის გამარჯვებულიც ვარ და მივხვდი, ეს შემოთავაზება და თონის აშენება ზუსტად მორგებული იქნებოდა ჩვენთვის და ჩვენი სოფლის მაცხოვრებლებისთვისაც. შენობა, სადაც ვაპირებ თონის გახსნას, ჩემს ბიძას ეკუთვნის, რომელიც დარეგისტრირებული არ ჰქონდა და ბუნებრივი აირის შეყვანა გამიჭირდა. თან პროექტის ფარგლებში ველარ შეძლეს მეორე ე.წ. „ფარსონკის" შეძენა და ამიტომ ერთ თონეს, შოთის საცხობს ვხსნი შეშაზე,"** - ამბობს ხათუნა.

ზემო მაჩხაანელი ქალბატონისთვის პროექტში მონაწილეობა საინტერესო აღმოჩნდა. როგორც თავად ამბობს, ინვენტარის შეძენით დახმარების გარდა, მისთვის მნიშვნელოვანი იყო იმ ინფორმაციის, ცოდნის მიღება, რაც სამომავლოდ საკუთარი ბიზნესის სწორად მართვისთვის გამოადგება. **„ეს პროექტი ძალიან დამეხმარა ჩემი მიზნის განხორციელებაში. შემიძინეს ცომის საზელი აპარატი და ბევრი ისეთი რამ, რომლის ყიდვაც ამ პანდემიის პირობებში ძალიან გამიჭირდებოდა. ახლა ცივმა ამინდებმა მოგვისწრო და კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოების გაკეთებაში ხელი შეგვეშალა, თუმცა სამომავლოდ ვგეგმავ შენობის უფრო კეთილმოწყობას. თონე მუშაობს და პურის რეალიზაციაც პრობლემის გარეშე ხდება. ვგეგმავ გაფართოებას,"** - ხათუნა მაძღარაშვილი.

ხათუნა გონაშვილის თქმით, დედოფლისწყაროში უხვად მოდის ლეღვი, ხურმა და კარალიოკი, რომელსაც მოსახლეობა, ფაქტობრივად, ვერ იყენებს და ხილი ძირითადად ხდება საქონლისა და ფრინველის საკვები, ამიტომ, გაუჩნდა სურვილი გაეკეთებინა მშრალი ხილის - ჩირის საწარმო. თუმცა, პანდემიამ მის საქმიანობაზეც უარყოფითად იმოქმედა და შეუმცირდა პროდუქციის რეალიზაცია, ვერ შეძელო გადამზადებული კადრის შენარჩუნება და ვერ მოახდინა საწარმოს სრული აღჭურვა ინვენტარით. პრობლემების გადაჭრაში მას მნიშვნელოვნად დაეხმარა აღნიშნულ პროექტში ჩართულობა და გამარჯვება.

„მუნიციპალიტეტის მშრალი ჰავა ხელს უწყობს ხილის მაღალშაქრიანობას, რაც ჩირის წარმოებისას მაღალკალორიული და ხარისხიანი პროდუქტის მიღების წინაპირობაა. 2018 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში (ENPARD II) გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, რომელშიც მოვიპოვე დაფინანსება და გავაკეთე მშრალი ხილის - ჩირის საწარმო „ჩაროზი". შევისწავლე ხილის შრობის და შენახვის ტექნოლოგია და 2019 წლის შემოდგომაზე დავიწყე ჩირის წამოება. დავამზადე შავი ქლიავის, ხურმის/კარალიოკის და ლეღვის ჩირი. პროდუქტმა გაუძლო დადგენილ 9 თვიან შენახვის ვადას ისე, რომ არ დაუკარგავს სასაქონლო სახე და კვებითი ღირებულება. მიღებულმა პროდუქციამ დიდი მოწონება დაიმსახურა ადგილობრივ ბაზარზე და წარმატებით დავიწყე მისი რეალიზაციაც. საწარმო ვითარდებოდა გაწერილი განვითარების გეგმის მიხედვით. ეტაპობრივად ვახდენდი საწარმოს დამატებითი ტექნიკა-დანადგარებითა და ინვენატრით აღჭურვას, თუმცა, Covid19 - თან დაკავშირებით დაწესებულმა შეზღუდვებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩემს საქმიანობაზეც. სწორედ, „მომავლის ფერმერისა" და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში" ერთობლივი პროექტის ხელშეწყობით შევძელი საწარმოს განვითარების დასახული გეგმის გაგრძელება. პროექტის ფარგლებში მოხდა ავეჯისა და ინვენტარის შესყიდვა, რამაც მომცა სტიმული და დამეხმარა წარმოების გაგრძელებაში. ამ ჩართულობამ და ხელშეწყობამ უაღრესად დადებითი როლი შეასრულა ჩემი წარმოების განვითარებაში," - აღნიშნავს ხათუნა.

ხათუნა გონაშვილი გამუდმებით მუშაობს საკუთარი თავის განვითარებაზე, პერიოდულად სწავლობს, ეწევა პედაგოგიურ საქმინობას და სამომავლო გეგმებიც დასახული აქვს. **„პროფესიით ვარ პედაგოგი, სპეციალობით ქიმიკოსი. 2006 წლიდან ვარ ჯერ სახელმწიფო, ხოლო 2010 წლიდან დღემდე ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე. 2018 წლიდან დავიწყე პედაგოგიური საქმიანობაც და ქ. დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში ვასწავლი ქიმიას. პარალელურად ჩართული ვარ საოჯახო მეურნეობაში და მივყვები მეფუტკრეობას. ამ დარგის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით დავამთავრე პროფესიული სასწავლებელიც. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე ამ წლების განმავლობაში ჩართული ვიყავი არაერთი საწარმოს (მცენარეული ზეთების, ალკოჰოლური სასმელების) საქმიანობაში (ლაბორატორიული კვლევებში), შესაბამი**

/გაგრძელება გვ.5/

სიყვარულის დღე ყოველდღეა! რიცხვებს რა მნიშვნელობა აქვს?

„სიყვარულზე მეტი ჭირი და ლხინი ღმერთს არა გაუჩენია-რა" - რამ ათქმევინა ვაჟა-ფშაველას ეს სიტყვები, რა ცეცხლი და გენია მოედო ასეთი?! თუმცა ვის არ დაუკვნესია ამ ტკბილ-მწარე გრძნობის წინაშე, ვინ არ ჩაუთრევია თავის კალთებში და გაუტაცია ღრმა მორევისაკენ. ადამიანს სჭირდება რაღაც ისეთი, რაც სიცოცხლის მასტიმულირებელ ძალასა და ენერგიას მისცემს, რაც შეუმსუბუქებს ყოფას, უფრო საინტერესოს გახდის ცხოვრებას, აზრს შემატებს ბანალურ ყოველდღიურობას - ასეთი პანაცეა სიყვარულია, მაგრამ სადღაა დღეს ეს უკვდავი და მარადიული გრძნობა?! გაქრა თუ სიბნელეში ჩაიკარგა?! რა უძნა კაცობრიობამ მას ისეთი, რომ ირონიის საგნად აქცია?!

რატომ არის ძნელი სიყვარულზე წერა და საუბარი? - ადამიანის ენა უძლურია ახსნას, შეაფასოს, გამოხატოს, განმარტოს ამ გრძნობის იდუმალი ძალა. ამის მიუხედავად, მაინც უნდა ითქვას, რომ სიყვარული, ზოგადად, რთული ფსიქიკური მდგომარეობაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია გრძნობების, აზრებისა და მოქმედებების აკვიატებული კონცენტრაცია სიყვარულის ობიექტის მიმართ; სიყვარულს ახასიათებს უკიდურესი სუბიექტურობა, რომლის გამოც ვერ ხედავ, ვერ ამჩნევ საყვარელი ადამიანის ნაკლს, მისი უარყოფითი პოზიტიურად ფასდება. ამიტომაც თქვა ქართველმა კაცმა: სიყვარული ბრმააო; შეყვარებული ეიფორიაშია, ამაღლებული გუნება-განწყობილება აქვს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, უხარია სიცოცხლე.

სრულიად კაცობრიობას და ქართველებსაც იმდენი სიყვარულის დღე გვაქვს, რამდენი დღეც ჩვენს ცხოვრებაში იქნება. ყოველდღე მივულოცოთ ჩვენს საყვარელ ადამიანებს სიყვარულის დღე, რამეთუ სიყვარული მართავს ადამიანს და მიზანდასახულს ხდის მას. სიყვარულს ვალის მოხდა არ სჭირდება. თუ გიყვარს, მართლა უნდა გიყვარდეს და გიყვარდეს არა ერთი დღით, არამედ სამუდამოდ, მთელი ცხოვრება. სიყვარული, ალბათ, ერთადერთი გრძნობაა, რასაც ცოდნა არ სჭირდება. თუ საამისო ნიჭი გაქვს, ერთ მშვენიერ დღეს ის თავისით მოვა და საამისოდ, შესაძლოა, არც არაფრის გაკეთება იყოს საჭირო. სიყვარული არის დიდი სურვილი, სწრაფვა რაღაცისაკენ, ვიღაცისაკენ. სიყვარული დიდი, შინაგანი ენერგიაა, რომელიც შიგნიდან მოდის. ის ყველაზე უფრო ღრმა, ფარული და იდუმალია და ერთბაშად შეუძლია დაანგრიოს და წალეკოს ირგვლივ ყოველივე. დიდი სიყვარულს დიდი შინაგანი სულიერი ძალა განაპირობებს, ამიტომ გიხაროდეთ, თუ უყვარხართ „ძლიერ, ძლიერ, მთელი გრძნობით და ძალით" (შ. პეტეფი). უმაღლესი ფორმა სრულქმნილი სიყვარულისა ღვთის სიყვარულია, ოღონდ მისი, როგორც უხილავი ძალის, სიყვარული ხილულ სამყაროში მეორე ადამიანის სიყვარულში უნდა გამოვლინდეს. ამქვეყნიურ სიყვარულს გვირგვინად ადგას დედაშვილური გრძნობა და მის მადლზე დგას ეს სამყაროც. სიყვარული იმდენად უძლეველი ძალაა, რომ გვაერთებს მათთანაც, ვინც დიდი ხანია განგვეშორა, დაგვტოვა, მაგრამ სულიერი კავშირები არ წყდება, ჩვენს შორის უხილავი ფარდაა და იქ და აქ მყოფნი მაინც ერთად ვართ.

უნდა დაიჯეროთ, ენდოთ და მოითხოვოთ სიყვარული, მოსთხოვოთ ერთმანეთს, როგორც აუცილებლობა, როგორც ვალდებულება, ადამიანად ყოფნისა და ცხოვრების გამართლება! არადა, ყველას რომ სჭირდება და ცოდვითა და ვნებით დაღლილი კაცობრიობა სულს რომ ღაფავს, თვითგადარჩენისათვის გამოვიგონეთ სიყვარულის დღეები: ერთი, ქართველი ადამიანისათვის, ქართული ტრადიციისთვის უცხო და თავსმოხვეული ვალენტინობა და მეორე - ზოგისთვის სახსოვარი (ბევრისთვის გაუგებარი) სიყვარულის დღე 15 აპრილი (ბესო ჩუბინიძის დაარსებული) და მესამე - 16 ივლისი. 1981 წლიდან მოყოლებული, საქართველოში მცხოვრები მართლმადიდებლები ყოველი წლის 16 ივლისს სიყვარულის დღეს აღნიშნავენ. ამ დღეს ყაზბეგის რაიონში, ზღვის დონიდან 2200 მეტრ სიმაღლეზე მდებარე გერგეტის მონასტერში, საზეიმო წირვა-ლოცვა ტარდება. ასე რომ, ქართველებმა აქაც თავი გამოვიჩინეთ და სამჯერ ვზეიმობთ ამ დღეს!

თუკი შეკითხვას დავსვამთ: რომელი გირჩევნია, გიყვარდეს თუ უყვარდე (სასურველია გიყვარდეს-უყვარდე, მაგრამ სადაა?!), ჭკვიანი ადამიანი მაინც აირჩევს მიყვარდეს, რადგან ეს მისი სიმდიდრეა, სისავსეა და ამაზე უარის თქმა არ ეგების. როცა გიყვარს, შავი ზღვა თეთრად მოგეჩვენება (სიმღერისა არ იყოს), „სიყვარულს ისეთი სათვალე უკეთია, - ამბობდა სერვანტესი, - რომლითაც სპილენძი ოქროდ გეჩვენება, სიღარიბე - სიმდიდრედ, ხოლო ცეცხლის ნაპერწკლები -მარგალიტებად". ერიხ ფრომი სიყვარულს ხელოვნებად მიიჩნევდა, ამიტომ, როგორც ყველა ადამიანი ვერ იქნება ხელოვანი, სიყვარულიც ვერ დაიბუდებს ყველა არსებაში. მისი აზრით, დღევანდელ საზოგადოებაში გავრცელებულია პათოლოგიური სიყვარული, ანუ ფსევდოსიყვარული. ისე, 21-ე საუკუნე ფსევდოღირებულებათა საუკუნეა. გაქრა ყველაფერი ნამდვილი, ჭეშმარიტი, ღირებული. შეაჩერებს რამე ამ პროცესს? - ძნელი სათქმელია... კი ვამბობთ, ცხოვრება მშვენიერიაო - მაგრამ დედამიწა არა არის სამოთხე და უმრავლეს შემთხვევაში ეს ცხოვრება ჯოჯოხეთს უფრო ჰგავს (თუმცა გააჩნია, ვისთვის როგორ) და ადამიანები იტანჯებიან იმით, რომ არ ეღირსათ თავიანთი წილი სიყვარული, არ გაუმართლათ, ცხოვრება გავიდა მტანჯველ მარტოობაში, ოცნებებში, ფიქრებში, რაინდისა თუ მზეთუნახავის მოლოდინში... სიყვარული მოწონებით იწყება, მაგრამ ის, უპირველესად, ცოდნაა. მართალია, გული, გრძნობა და გონება ხშირად ვერ თანხმდებიან, მაგრამ მაინც აუცილებლობა განაპირობებს იმას, რომ იცნობდე კარგად მას, ვინც გიყვარს, გესმოდეს მისი, მისაღები იყოს ინტერესები, მისწრაფებები, სურვილები და გიხაროდეთ ერთმანეთი. სიყვარულს დრო გამოცდის, სწორედ დრო დაამტკიცებს, გვიყვარდა თუ მოგვწონდა ერთმანეთი!



უსიყვარულოდ ცხოვრება აუძლურებს, აბერებს, ფიტავს ადამიანს. თუ თქვენი შესაფერი სატრფო არ გამოჩნდება, შეიყვარეთ ხელოვნება, პოეზია, ცხოველები, გიყვარდეთ სიცოცხლე, ადამიანი, მზე, გაჭირვებული, გზასაცდენილი, დიდი თუ პატარა. ნუ დაგწყდებათ გული, რომ თქვენს გრძნობებს არ პასუხობენ შესატყვისი განცდით, ემოციით, თავგანწირვით... ნუ დაელოდებით ვალენტინობას, 15 აპრილსა და 16 ივლისს, ყოველი დღე სიყვარულში დახარჯეთ, ნუ შეაკავებთ ამ ემოციას, ნუ ჩაკლავთ და დათრგუნავთ თქვენს თავში. როგორადაც უნდა განვითარდეს სამყარო და შეიცვალოს ცხოვრება, რა ტიპის ღირებულებები და ფასეულობებიც უნდა გახდეს საზოგადოების მამოძრავებელი, ღვთის, ადამიანისა და სამშობლოს სიყვარული დარჩება შეუცვლელ და უკვდავ სახეობად, დამოუკიდებელ ესთეტიკურ და ეთიკურ ფაქტად. თანამედროვე რაციოცენტრიზმისა და პრაგმატიზმის პირობებში მაინცაა შესაძლებელი სიყვარულითა და რომანტიზმით ცხოვრება. სული უკვდავია და, შესაბამისად, იგი ითხოვს საზრდოს, საჭიროებს მშვენიერსა და ამაღლებულს. ამდენად, ახლა სიყვარულის დროა და იგი ისე გვჭირდება, როგორც - არასდროს! გიყვარდეთ, რაც შეიძლება მეტად გიყვარდეთ, რადგან ჭეშმარიტი ძალა სიყვარულშია! სიყვარულს რა დღის დანიშვნა უნდა,ადამიანს თუ სიყვარული შეუძლია, ყველა დღე სიყვარულისაა!

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

ძლიერი ქალები სოფლად

/დასაწყისი გვ.4/

სად, საკვები პროდუქტების წარმოება ჩემთვის ძალზედ საინტერესო სფეროა. მომავალში ვგეგმავ წარმოების გაფართოებას და მსურს, ადგილობრივი ნედლეულიდან ვაწარმოო არამარტო მშრალი ხილი, არამედ - მურაბები და ჯემები. ვიმედოვნებ რომ დასახულ მიზანს აუცილებლად მივაღწევ. ამის თქმის შესაძლებლობას მაძლევს ჩემი შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა და საქმისადმი სიყვარული,"- ხათუნა გონაშვილი.

დედოფლისწყაროდან გრანტი სულ ექვსმა ქალმა მოიპოვა, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ დაფინანსებული პროექტები მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვა ქალებსაც გააძლიერებს, რადგან თითქმის ყველა ბენეფიციარი დამატებით სულ მცირე 2 ქალის დასაქმებას გეგმავს.

დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მიიჩნევს, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ქვეყნის და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია. **„ასეთი საგრანტო პროექტების განხორციელება ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და დიდი მადლობა GIZ-ს ადგილობრივი ქალების ბიზნესის სტიმულირებისთვის. ყველაზე იდეალური იქნებოდა, მუნიციპალიტეტს თანხა ჰქონდეს იმისთვის, რომ მსგავსი პროექტები თვითონაც განახორციელოს. მაგრამ სამწუხაროდ, 2021 წლის ბიუჯეტში ქალთა ბიზნესებისთვის ფინანსური დახმარების გამოყოფა რთული იქნება. თუმცა, ჩვენი მხრიდან, ასეთი პროექტების მხარდაჭერა სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით არის შესაძლებელი, როგორიც არის დახმარება ინფორმაციის გავრცელებაში, შეხვედრების ორგანიზება, ფართის გამოყოფა და სხვა. მნიშვნელოვანია, ისეთი მიმართულებებზე მოხდეს გრანტის გაცემა და ის ბიზნესი დაფინანსდეს, რომელიც მდგრადი იქნება და ხელს შეუწყობს ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას"** - ამბობს დედოფლისწყაროს მერი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი ამბობს, რომ ქალთა კომპონენტს სახელმწიფო პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ქალებმა ეს შესაძლებლობა კარგად გამოყენონ. „ქალთა ბიზნესებისთვის მცირე გრანტების გაცემა ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენი დონორები ამ მიმართულებით ძალიან კარგ პროექტებს ახორციელებენ. ერთია თავად მათ მიერ გაცემული ფინანსური რესურსი და მეორე სწავლების კომპონენტი. მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებულ პირებს კარგი პროექტების დაწერა შეეძლოთ. საგრანტო განაცხადის კარგად წერის უნარი ქალებს გზას უხსნის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობისთვის. ქალთა კომპონენტს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო პროგრამებში, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ქალების მიერ ეს შესაძლებლობა გამოყენებული იყოს და ამ მიმართულებით ქალთა ცოდნის ამაღლება ერთ-ერთი მთავარი საკითხია", - აცხადებს მინისტრის მოადგილე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის სპეციალისტი ანა ბენაშვილი აცხადებს, რომ გენდერის კუთხით ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია. „ის ხელს უწყობს ქალების ეკონომიკურ და მათი დამოუკიდებლობის ხარისხის გაძლიერებას. ქალებს ამ პროექტის მომზადებაში დიდი სამსახური გაუწია giz-ის კოორდინატორმა შორენა კოჭლამაზაშვილმა. უნდა აღინიშნოს, რომ 10 წარდგენილი ბიზნეს-გეგმიდან კონკურსში გამარჯვება 6-მა დედოფლისწყაროელმა შეძლო. ეს იყო საპილოტე პროექტები და პირველი მცდელობა. კარგი შედეგის მიღების შემთხვევაში ასეთი პროექტები მომავალშიც გამოცხადდება."

თითქმის 30 წელია - 1992 წლიდან, GIZ, გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს (BMZ) დავალებით, საქართველოს კარგი მმართველობის, დემოკრატიის, მდგრადი ეკონომიკური განვითარების, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების მიმართულებით ეხმარება. 2020 წლის 1 აპრილიდან GIZ-მა ახალი პროგრამის განხორციელება დაიწყო - „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში". საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროსთან სტრატეგიული თანამშრომლობით, პროგრამა ხელს უწყობს მოქალაქეზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების სფეროების რეფორმირების პროცესს. მისი მიზანია, დაეხმაროს საჯარო დაწესებულებებს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე საჯარო სერვისების უკეთ მინოდებასა და მოქალაქეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ჰესები VS რიონის მცველები

უკვე რამდენიმე თვეა, რაც რიონის ხეობაში მოსახლეობა მსხვილი ჰესების მშენებლობას აპროტესებს. მათი თქმით, მძლავრი ჰესების აშენება საფრთხეს უქმნის ხეობას და განაშენიანებულ ტერიტორიას, ქალაქების ჩათვლით.

რომელ ჰესებზეა საუბარი?

საქართველოს მთავრობამ თურქულ კომპანია ENKA-ს და ნორვეგიის სუფთა ენერგიის ჯგუფს (Norway's Clean Energy Group) იმერეთსა და ლეჩხუმში ნამახვანის ჰესების კასკადის განვითარების, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების უფლება 2019 წელს მიანიჭა. პროექტი მოიცავს ორ ჰესს მდინარე რიონზე: 333 მეგავატის სიმძლავრის ქვემო ნამახვანის ჰესსა და 100 მეგავატის სიმძლავრის ზემო ნამახვანის ჰესს. სამშენებლო სამუშაოები 2020 წლის პირველი მარტიდან 2024 წლის 31 ივლისამდეა დაგეგმილი. ENKA-ს განცხადებით, კომპანიამ მოსამზადებელი სამუშაოები 2020 წლის მაისში დაიწყო და სამშენებლო სამუშაოებს ერთდროულად ოთხ ადგილზე ატარებს.

800 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის „მსხვილი უცხოური ინვესტიციით", ხელისუფლება ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდას იმედოვნებს და ირწმუნება, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ „საკუთარი გენერაციით ჩვენი მოხმარების თითქმის 12 პროცენტი იქნება უზრუნველყოფილი". მთავრობა ასევე მიიჩნევს, რომ ჰესების კასკადის პროექტში ჯამში 1600-მდე მოქალაქე დასაქმდება.

„ნამახვანი ჰესის" მშენებლობა არის ერთ-ერთი უდიდესი პროექტი საქართველოს უახლეს ისტორიაში, ეს არის ძალიან დიდი კონტრიბუცია ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობაში, ენერგომომარაგებასა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში" — ეს განცხადება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ „ნამახვანი ჰესის" ინვესტორ კომპანიებთან გამართული დასკვნითი მოლაპარაკების დასრულების შემდეგ გააკეთა.

ნათია თურნავამ ასევე აღნიშნა, რომ „ნამახვანის ჰესების კასკადი" მნიშვნელოვანი პროექტი იქნება არა მხოლოდ საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისთვის, მისი უწყვეტი ენერგომომარაგებისა და საიმედოობისთვის, არამედ იგი ხელს შეუწყობს რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მცირე და საშუალო ბიზნესის, ასევე ტურიზმის განვითარებას და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ ნამახვანი ჰესების პროექტი პასუხობს ყველაზე მკაცრ ეკოლოგიურ და სოციალურ სტანდარტებს, რაც საქართველოს მთავრობის პრინციპული პოზიციისა და ინვესტორის კონსტრუქციული მიდგომის შედეგია."

„საქართველოს მთავრობა ჰესის მშენებლობაზე უარის თქმას არ აპირებს, პირველ რიგში, ენერგოუსაფრთხოების მოსაზრებით შიდა ბაზარზე ელექტროენერგიის მზარდი მოხმარების ფონზე. იანვარში მოხმარებული ელექტროენერგიის 34% იმპორტირებული იყო. ძალიან სერიოზულ დათმობებზე წამოვიყვანეთ თავად ინვესტორი კომპანია, რომელმაც, პრაქტიკულად, გადადო მთელი ერთი წლით კაშხლის მშენებლობა, რადგან კაშხალი იწვევდა მოსახლეობაში ყველაზე მეტ წუხილს. ახლა მიმდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ გზის და მისასვლელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა", - ინვესტორმა უკვე გადაუხადა 34 მილიონი ლარი 270 ადგილობრივ ოჯახს - თითო ოჯახს საშუალოდ 125 ათასი ლარი შეხვდა იმ მიწის სანაცვლოდ, რომელიც იურიდიულად სახელმწიფოს ეკუთვნოდა, მაგრამ ვინაიდან ეს ოჯახები იქ სახლობდნენ და საქმიანობდნენ, სახელმწიფომ მოითხოვა ამ კომპენსაციების გაცემა", — განაცხადა თურნავამ. ამასთან, მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს არის ძალიან მკაცრად გაკონტროლებული, მიზნობრივად გადაცემული მიწის რესურსი, რომელზეც ინვესტორს უფლება აქვს, მხოლოდ პროექტის მიხედვით ააშენოს ჰესის ნაგებობები. ***„თუ ინვესტორმა ვერ შეასრულა თავისი ვალდებულებები და ვერ ააშენა შესაბამის ვადებში კონკრეტული სიმძლავრის ჰიდროსადგური, ან დაარღვია ნებართვით დაკისრებული უფლებები, მას ეს მიწა ჩამოერთმევა. ეს არის პირობადებული საკუთრება, რომლის საფასურიც ინვესტორმა გადაუხადა არა სახელმწიფოს, არამედ ადგილობრივ მოსახლეობას",*** - განაცხადა მინისტრმა თურნავამ.

მაშინ, რა არის პროტესტის მიზეზი?

პროექტის მოწინააღმდეგეები მთავრობის ოპტიმიზმს არ იზიარებენ და ამბობენ, რომ რისკები სათანადოდ არ შეფასებულა. ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ შექმნილმა მოძრაობებმა პეტიციაც გაავრცელეს, სადაც ირწმუნებიან, რომ სეისმური რისკები შესაბამისად არ შესწავლილა — ისინი 90-იანებში რაჭაში მომხდარ ძლიერ მიწისძვრასაც იხსენებენ.

მოწინააღმდეგეები პეტიციაში ყურადღებას ამახვილებენ კიდევ ერთ საფრთხეზე, რომ „დაზიანების შემთხვევაში, ნამახვანის კაშხლიდან გამოხეთქილი 34 მეტრიანი ტალღა ქუთაისს 19 წუთში დაატყდება, წყალდიდობით გამოწვეული საფრთხე კი მთელ კოლხეთის დაბლობს დაემუქრება". მოწინააღმდეგეები ასევე აცხადებენ, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები კანონდარღვევით, მოსახლეობისა და საზოგადოების სათანადო ჩართულობისა და მონაწილეობის გარეშე გაიცა და შიშობენ, რომ ჰესის მშენებლობა წყალტუბოსა და ცაგერის სოფლებს და იქ არსებულ უნიკალურ ბიომრავალფეროვნებასა და კულტურულ მემკვიდრეობას დატბორავს. რეგიონის მცხოვრებთა კიდევ ერთი წუხილი ადგილობრივი მიკროკლიმატის ცვლილებას შეეხება, რომელიც ყურძნის გარკვეული სახეობებისთვის საჭირო მიკროზონებს გაანადგურებს, მათ შორის, ტვიშის ღვინის მიკროზონას. ადგილობრივები ამბობენ, რომ პროტესტს არ შეწყვეტენ, სანამ მათი მთავარი მოთხოვნა - ჰესის მშენებლობის შეწყვეტა- არ დაკმაყოფილდება. სხვა მოთხოვნები, რომლებიც პეტიციაშია წარმოდგენილი, მოიცავს საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში რისკის შემცველი პროექტების განხორციელების შეწყვეტას და ჰიდროელექტროსადგურებზე გაფორმებული ხელშეკრულებების გასაჯაროვებას.

პეტიციაში ასევე ვკითხულობთ, რომ: „ამ ყველაფერთან ერთად, პროექტების განვითარება ისე დაიწყო, რომ მათი ეკონომიკური საჭიროება დაუსაბუთებელია: არ არის წარმოდგენილი დანახარჯისა და სარგებლის ანალიზი, რაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნაწილი უნდა იყოს. მეტიც, ნამახვანის ჰესების კასკადზე გაფორმებული ხელშეკრულება კონფიდენციალურია, ონის კასკადის ხელშეკრულების მიხედვით კი, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულებას ილებს კერძო კომპანიისგან 20 წლის განმავლობაში ელექტროენერგია შეისყიდოს და მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გარანტირებულად მაღალ ფასი გადაუხადოს (საშუალოდ 1 კვტ.სთ 10 ცენტზე მეტი).

აღსანიშნავია, რომ ნამახვანი ჰესის მშენებლობის ტენდერში გაიმარჯვა კომპანიამ, რომელმაც უკვე ააშენა მძიმე შედეგებით ცნობილი შუახევი ჰესის პროექტი. შუახევი ჰესის გვირაბები ამუშავებიდან 2 თვეში ჩამოინგრა, რისი მიზეზიც გეოლოგიური რისკების არასაკმარისი შესწავლა იყო. დამატებითი სამუშაოების შედეგად, 2020 წელს შუახევი ჰესი ამუშავდა, თუმცა რისკები მოსახლეობისა და გარემოსთვის კვლავაც მაღალია. მიუხედავად უამრავი რისკისა და პრობლემისა, კანონდარღვევებისა, სათანადო წინასწარი კვლევებისა და უსაფრთხოების გარანტიების არარსებობისა და, უკვე წლებია, ადგილობრივი მოსახლეობის მწვავე პროტესტისა, ონისა და ნამახვანის ჰესების შესახებ გადაწყვეტილებები საქართველოს მთავრობამ უკვე გასცა. ონის კასკადზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ხოლო ნამახვანის ჰესზე - სამშენებლო ნებართვაც წინასწარ სამუშაოებზე. ლეჩხუმში მძიმე ტექნიკა უკვე შევიდა და, ხალხის პროტესტის ფონზე, სამუშაოები დაიწყო- აღნიშნულია მოწინააღმდეგეების მიერ შექმნილ პეტიციაში.

უნდა ითქვას, რომ ენერგეტიკულ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მით უმეტეს მასშტაბურ ნაგებობას, სერიოზული კანონიერი საფუძველი სჭირდება. ზოგადად სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც ეხება სტრატეგიულ უსაფრთხოებას, ენერგომომარაგებას, მოქალაქეთა კეთილდღეობას და ა.შ, სჭირდება მოკვლევა და ლეგიტიმაცია. განვითარებულ სამყაროში, მასშტაბურ პროექტებს და პოლიტიკის ცვლილებას, ხშირად რელევანტურ დარგში მომუშავე სპეციალისტთა ჯგუფები, მთავრობის ან პარლამენტის დაკვეთით ასრულებენ. საქართველოსთვის ეს იშვიათადაა ჭეშმარიტი. ამიტომ, ქვეყანაში სადაც ძნელად მოიპოვება ინფორმაცია ეკონომიკურ ან ენერგოპოლიტიკასთან დაკავშირებით ჩატარებულ სრულყოფილ კვლევებზე, არ არის გასაკვირი ის პროტესტი, რომელიც რიონის მცველებს აქვთ. თუკი გვინდა, რომ გიგანტური ჰესი აშენდეს და ამას მწვანე შუქს ვუნთებთ, უნდა მოხდეს ელემენტარული სტანდარტების დაცვა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებაც. ამის ფონზე კი აქციები გრძელდება, რომელიც უფრო და უფრო მძაფრ სახეს იღებს. მოსახლეობა დათმობას არ აპირებს.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

მე გავბედე და ავიცერი კოვიდზე, გაბედე შენც!

ძვირფასო მკითხველო, წერილის სათაურიდანაც უკვე ხვდებით საუბრის თემას, რომლის გარშემო საზოგადოების აზრი გაყოფილია. ერთნი უპირობოდ ემხრობიან ვაქცინაციას და კოვიდის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე სხვა ალტერნატივას ვერ ხედავენ, მეორენი სასტიკი წინააღმდეგნი არიან და მრავალი „არგუმენტი“ მოჰყავთ ამის დასადასტურებლად, მესამენი თავს იკავებენ და რაღაცას ელოდებიან, რომელთა უმრავლესობამ არ იცის თუ რას! არიან ისეთებიც, რომელთაც არავითარი გეგმა არ აქვთ ამასთან მიმართებაში. მე იმ კატეგორიას მივეკუთვნები, ვისაც პანდემიის დამარცხების ყველაზე ეფექტურ და საიმედო გზად ვაქცინაცია მიმაჩნია. ზოგადად, ჩემთვის მედიცინაში, რომელიც, მსოფლიო მასშტაბით, არნახულ ნაბიჯებს დგამს, ვაქცინაცია და ქირურგია ყველაზე მეტად სარწმუნო და შედეგიანია. თუმცა, ნამდვილად არ ვაკნინებ სხვა დარგებს, რომელიც ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ცხოვრებაში ასაკობრივად რაც ვაქცინაცია მეკუთვნოდა, ყველა ჩატარებული მაქვს და ზოგიერთის კვალი მკლავებზე „აბაზიანებივით“ მეტყობა, რადგან ჩემს ბავშვობაში აცრის ტექნოლოგია განსხვავდებოდა და ჯვარედინი ნაკაწრის საშუალებით მკლავზე „პიპეტკით“ დაწვეთებული ასაცრელი სითხე კანქვეშ ხვდებოდა. მკლავი ნახევარი საათი დოინჯშემოყრილს უნდა გჭეროდა, რომ სითხე არ დაღვრილიყო. ეს იყო მეტად მგრძნობიარე, არასასიამოვნო და სტრესული მდგომარეობა, მაგრამ... სავალდებულო. ასე მოისპო ბევრი რთული, გადამდები და სიცოცხლისათვის საშიში დაავადება. ასე თანდათან შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა და დედებმა ამოისუნთქეს, რადგან ხშირად 10-12 მშობიარობიდან 4-5 შვილს ძლივს ზრდიდნენ სრულწლოვანობამდე, უმრავლესობას სხვადასხვა „სახადი“ იწირავდა ჩვილობაშივე. თანდათან დაიხვეწა აცრის ტექნოლოგიები. მაგალითად, გასულ შემოდგომაზე, შვილების დაჟინებული თხოვნით, გრიპის ოთხკომპონენტიანი ვაქცინა გავიკეთე და ისე ლხენა მოგეცეთ თითოეულ თქვენგანს, როგორ უმტკივნეულოდ და უპრობლებოდაც გავიარე მე ეს ზამთარი. ერთხელ არ წამოუხველებია, სურდოც კი არ მქონია და ვნანობ, სხვა წლებშიც რომ არ ვიცრებოდი და უნდობლად ვუყურებდი ამ ამბავს. კოვიდ-19-ის შიშითა და რეგულაციებით დაღლილი-დათრგუნული სულმოუთქმელად ველოდი ვაქცინის შექმნას და მის პრაქტიკაში დანერგვას. ახლა ზოგიერთი ვაქცინას უნდობლობით უყურებს, რადგან მოკლე ვადაში შეიქმნა. ელემენტარულს გეტყვით: ხომ გქონიათ შემთხვევა, როდესაც წინა დღეს გაგიგიათ, რომ ხვალ თქვენთან სტუმრობას აპირებენ უცხო და თქვენთვის პატივსაცემი ადამიანები. ხომ დატრიალებულხართ, ბაზარი და მაღაზიებიც მიგირბენ-მოგირბენიათ, რამდენიმე სახეობის სადილ-საუზმეც მოგიმზადებიათ. სახლ-კარი და ეზო-გარემოც მოგიწესრიგებიათ და წუთი-წუთზე მოსულ სტუმრებს ღირსეულად დახვედრირხართ. სწორედ ასეთი გამონაკლისი და ექსტრემალური სიტუაცია დაუდგა დედამიწას კოვიდის გამო და დაჩქარებული წესით და უახლოესი ტექნოლოგიების საშუალებით, მადლობა ღმერთს, ვაქცინა გვაქვს და, თანაც, არაერთი. რატომ არ გვინდა, რომ ვირწმუნოთ. თუმცა, რწმენაზე თუ ვილაპარაკებთ, ზოგიერთს ვირუსის გამორჩეული ვერაგობისაც კი არ სწამს და მას ცოტა გართულებულ გრიპს უწოდებს. სოციალურმა ქსელმა ხომ სულ გადარია ქვეყანა, ათას მითსაც და შეუსაბამობას რომ გადმოგცემს მტკიცებით ფორმაში: თურმე, ხალხის გაწყვეტა უნდათ (!). აბა, რისთვისღა იტანჯებიან ექიმები, მათი ეკიპირების შემყურეებს გული აქეთ რომ გვიწუხდება, რისთვის დგანან დღე და ღამ ფეხზე, გადავსებული საავადმყოფოები და საველე სამედიცინო პუნქტები რისთვის იქმნება, მიუშვებდნენ ნებაზე და... დაიხოცებოდა ხალხი, განახევრდებოდა და დედამიწაც „დამსუმბუქდებოდა“, რატომ იბრძვიან თითოეული სიცოცხლის გადასარჩენად ასე თავგამოდებით თვეობით, რატომ გამოყოფენ მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები ამდენ თანხებს, რატომ ცხადდება ლოკდაუნები, შეზღუდვები, რატომ მოგვიწოდებენ დღე და ღამ პირბადის ტარების, ჰიგიენის, დისტანციის დაცვისკენ, ღრეობების მოშლის და დიდი თავყრილობებისაგან თავშეკავებისაკენ, ეხალისებათ!? მოცლილები არიან!? არა, შევიგნოთ, რომ დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ და ახლა ჩვენი ბედი და მომავალი ჩვენს ხელთაა მედიცინის განვითარებასთან ერთად. ჩვენს ხელთაა, დავამარცხებთ ვირუსს თუ დავმარცხდებით! რა უფრო მეტი ზიანის მომტანია, კოვიდის გადატანა და მისგან გამომდინარე უამრავი გართულება თუ აცრა, რომელსაც მცირე გვერდითი მოვლენები ახლავს ზოგიერთ კონკრეტულ სიტუაციაში და უფრო მართვადია, ვიდრე კოვიდი. აცრით გამოწვეული სიკვდილიანობა თითქმის ნოლის ტოლია, კოვიდით კი, ჩვენი თვალით ვხედავთ, რაც ხდება ჩვენს გარშემო და მსოფლიოში. ერის ტკივილად და მოუშუშებელ ჭრილობად იქცა სულ ბოლო ხანს ჩვენი „არწივის“ თემურ წიკლაურის და გენიოსი ფოლკლორისტის ანზორ ერქომაიშვილის კოვიდით გარდაცვალება. განა ვინმემ მცდელობა დააკლო მათი სიცოცხლის გადასარჩენად თვეობით მუხლჩაუხრელ ბრძოლას!? და არა მარტო მათი, ჩვენ ბევრი ღირსეული, ერისთვის საჭირო ადამიანი დავკარგეთ, თუმცა, თითოეული ადამიანის სიცოცხლე, მისი რეგალიების გარეშეც, მეტად ფასეული და მოსაფრთხილებელია. გარადჩენა კი მხოლოდ რეგულაციების დაცვას და ვაქცინაციას შეუძლია. მე ავიცერი ასტრაზენეკით, ჩემს გარშემო უკვე აიცრნენ ადამიანები, რომლებსაც მთელი შეგნებით ესმით, რომ ეს აუცილებელია. ჩვენს ქალაქში თითქმის ყველა იცნობს ფერმერ აკაკი ოზაშვილს და მის მეუღლეს, ექიმ-ლაბორანტს მარინა ნასრაშვილს, რომლებიც ასევე ასტრაზენეკით აიცრნენ. ორიოდე დღის წინ, საქმესთან დაკავშირებით, დავურეკე ფერმერ ზურაბ თეთვაძეს, რომელმაც მითხრა, რომ თბილისში ვარ, ათიოდე წუთის წინ გავიკეთე აცრა და თავს კარგად ვგრძნობო, 14 აპრილს ასევე ასტრაზენეკით აიცრნენ ექიმი ცისანა ლეკაშვილი, მისი მეუღლე, ყოფილი პარლამენტარი და ფერმერი ავთანდილ ლეკაშვილი, მისი და და სიძე ციცინო ლეკაშვილი და მიხეილ ტყაბლაძე და არავითარი გართულება არ მოჰყოლიათ. იცრებიან სხვა ადამიანებიც, მაგრამ, აცრის ტემპი ძალიან დაბალია. ერთეულები და თუნდაც, ათეულები, ამინდს ვერ შექმნიან, საჭიროა მასიური აცრა, თუ გვინდა, რომ ეს უხილავი მტერი დავამარცხოთ და, ბოლოს-დაბოლოს, ამოვისუნთქოთ, ნაწილობრივ მაინც დავუბრუნდეთ ცხოვრების ჩვეულ რიტმს. კარგად მესმის, რომ ექთან მეგი ბაქრაძის გარდაცვალებამ რწმენა შეურყია და შეაკრთო ადამიანები, მაგრამ ამ ამბავს ნუ განვაზოგადებთ, სიკვდილი ათასი სხვა მიზეზითაც შეიძლება დადგეს. ხალხო, „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია!“ ასობით ადამიანი იღუპება ავიაკატასტროფებსა და სხვა ტრაგედიების დროს, მაგრამ ამის გამო ფრენაზე თუ მგზავრობაზე უარი არავის უთქვამს, მიუხედავად შიშისა.

ესკია, აცრას მარტო სურვილი არ განაპირობებს. მე, მაგალითად, თელავში ავიცერი, სხვები თბილისში, ჩვენი მხარის ხალხს გურჯაანსა და ლაგოდეხშიც შეუძლიათ აიცრან, მაგრამ (ოხ, ყველგან ეს მაგრამ აფუჭებს საქმეს) წინასწარ დარეგისტრირება და იქამდე მისვლა ხომ უნდათ ადამიანებს უმჯობესია, თუ ოჯახის ექიმის რეკომენდაციით ზოგიერთ გამოკვლევასაც ჩაიტარებენ, რომელთა ნაწილი ფასიანია. ბევრი მოქალაქის აზრით, ადგილზე „ჩვენს რაიონში ხომ ხდებოდეს აცრა, ნამდვილად აიცრებოდა, მაგრამ სხვაგან წასვლის შესაძლებლობა არ აქვს, ზოგი კი ფიქრობს, რომ ამ ყველაფერს ორგანიზებას მთავრობა უნდა უკეთებდეს და, როგორც ძვირადღირებულ ვაქცინას უფასოდ გვიკეთებენ, ყველა ხარჯსაც ის უნდა ანაზღაურებდესო. იმასაც ამბობენ, თუ რაიმე გამონაკლისი უკუჩვენების რისკი არ აქვს ადამიანს, აცრა სავალდებულო უნდა ყოფილიყოო. ასეა თუ ისე, ვაქცინაცია რომ ერთადერთი გზა არის გადარჩენისთვის, ეს აშკარაა. ორგანიზაციული და კვალიფიკაციის თვალსაზრისით მთავრობას და ჯანდაცვის სამინისტროს მეტი მუშაობა რომ მართებთ საქმის ასაწყობად და წინ წასაწევად, ესეც ნათელია, მაგრამ იქამდე, ვისაც შესაძლებლობა აქვს, ვისაც ჯანმრთელობა ხელს უწყობს, თავი ვალდებულად უნდა იგძნოს, რომ აიცრას და ამით ხელი შეუწყოს საკუთარი და გარშემომყოფების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აიცერი და გადაირჩინე თავი, ვიდრე კოვიდს შენს კარზე არ მოუკაკუნებია. ასტრაზენეკით აცრა ორეტაპიანია. 1 აცრა 6 აპრილს ჩავიტარე, მეორე აცრა პირველ ივნისს მიწევს და ისევ თელავს მომიწევს გამგზავრება. მე გავბედე და ავიცერი, გაბედე შენც, რადგან კოვიდი უფრო საშიში და ვერაგია, ვიდრე აცრა.





ნაირა გორაშვილი-ჯოჯიაშვილი

„უნდა მებრძოლა, რომ არ დავცემულიყავი“...

მალხაზ ჯაგაშვილი – საქართველოს 5 გზის ჩემპიონი, აზერბაიჯანში გამართული საერთაშორისო ტურნირების სამგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი ტაილანდურ კრივში (სასომხეთი), შავი ზღვის თასის სამგზის გამარჯვებული, ორგზის თბილისის მერიის თასის მფლობელი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული. არის საქართველოს ნაკრების წევრი. ეს ყველაფერი 16 წლის ასაკში შეძლო. წინ დიდი გეგმები და შესაშური მოტივაციაა აქვს. მცირე ასაკის მიუხედავად, წარმატებები ბევრია, თუმცა მის ტრაგიკულ ცხოვრებას

თუ გადავხედავთ, აშკარაა, ყოფითი სირთულეები და ოჯახური ტრაგედია მოტივაციასა და კარიერულ წინსვლაში დაეხმარა.

მალხაზ ჯაგაშვილი: „კრივში სრულიად შემთხვევით მოვხვდი, ჩემი მეგობრები ვარჯიშობდნენ და ვინაიდან დედა ახალი გარდაცვლილი მყავდა, გულის გადასაყოლებლად გამასეირნეს და დარბაზში მივედით. ეს იყო ჩემი პირველი შეხება კრივთან. ბევრი კარგი სპორტსმენი დამხვდა, სიტუაციაც ძალიან მომეწონა. 5 წლის ვიყავი და მომინდა მეც მევლო, სწორედ მას შემდეგ დავიწყე სიარული. ახლაც მახსოვს, თამაზი მასწავლებელი დიდი ყურადღებით მომექცა, ბევრი მესაუბრა, ყველაფერი გასაგებ ენაზე ამიხსნა. ნელნელა შემაყვარა ეს საქმე.

- პირველ ასპარეზობას როგორ გაიხსენებ, რა განცდა იყო?

- ვარჯიშის დაწყებიდან სამ თვეში თბილისში ახალბედა სპორტსმენების ტურნირი გაიმართა და მეც მივიღე მონაწილეობა. აქედან მედლითა და დიპლომით დავბრუნდი, რამაც მეტი სტიმული მომცა. სხვა სპორტსმენებსაც რომ ვაკვირდებოდი, უფრო მეტად მომწონდა ეს პროცესი. თვენახევრის შემდეგ, ღია რინგი ჩატარდა თბილისში და ისიც სერიოზულ მოგებად დამამახსოვრდა. ასევე იყო დედოფლისწყაროში ჩატარებული პირველი ბრძოლა. მახსოვს, წალკელ მეტოქეს შევხვდი, საგულშემატკივროდ ბევრი მაყურებელი იყო მოსული. ეს ჩემთვის ყველაზე უფრო ემოციური დღე იყო. ჩემს გამოსვლასაც ბევრი გულშემატკივარი ელოდა და მათი ყველა შეძახილი მესმოდა. ახლა რომ ვიხსენებ, ამ დღეს ყველაზე მეტად ჩამიჯდა გონებაში, რომ წარმატებული მოკრივე გავხდე და ბევრს მივაღწიო. ამ გამოსვლამ ძალიან დამაფიქრა, ყველაფერი გავაანალიზე და პერსპექტივამ ძალიან მომხიბლა. დიდი ბედნიერებაა მაყურებლის წინაშე გამოსვლა.

- წარმატებები ბევრია, ეს დიდი შრომის ფასად მიიღწევა, თუმცა სათანადო პირობები ხშირად არ გაქვთ...

- ბოლო წლებში ბევრი რამ გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც არ გვაქვს შესაბამისი პირობები, რომ უკეთესად მოვემზადოთ. ჩვენი მეტოქეები ბევრად უკეთეს გარემოში იზრდებიან, თუმცა, ხშირად მაინც ვჯობნით. დედოფლისწყაროში სპორტსმენებისთვის უკეთესი სივრცეები რომ იყოს, მეტი სპორტსმენი მოემზადებოდა. მიუხედავად პირობების არარსებობისა, მცდელობას არ ვაკლებთ და ძალღონეს არ ვიშურებთ შედეგის მისაღწევად. საჭირო ინვენტარს საკუთარი ხელით ვქმნით, უფრო მეტ დროს ვხარჯავთ და შედეგს ვაღწევთ... გულწრფელად გითხრათ, მწვრთნელი ხელს ძალიან გვიწყობს. სხვა პედაგოგი რომ ყოფილიყო, შესაძლოა, კრივში ამდენ ხანს არ დავრჩენილიყავი. გარდა პროფესიული თვისებებისა, თამაზი მასწავლებელი ცხოვრებისეული პრობლემების დაძლევაშიც გვეხმარება. სპორტის მიღმაც ბევრ საკითხზე გვესაუბრება და თითოეულ სპორტსმენს გვერდით გვიდგას. ყველა ხერხით ცდილობს ეს სახეობა სიღრმისეულად შეგვაყვაროს. მთავარი ისაა, რომ ამ საქმეს სიყვარულით აკეთებს. უზომოდ უყვარს სპორტი და თითოეული ჩვენგანი. ცდილობს, წარმატებული სპორტსმენების გარდა, კარგი ადამიანებიც გამოვიდეთ. მისთვის დარბაზი იგივე სახლია, თუ გაცდენა უწევს, ნერვიულობს, ყოველთვის ცდილობს გვერდით გვედგეს.

- მშობლების თანადგომა მოზარდისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, შენ კი ისინი ნაადრევად დაკარგე... როგორ შემორჩა შენს მეხსიერებას ისინი?

- მახსოვს, მამა სულ მამხნევებდა, დარბაზშიც ხშირად მოდიოდა და მგულშემატკივრობდა. მოსწონდა ჩემი გეგმები და ცდილობდა ხელი შეეწყო. გული ბევრჯერ დამწყვეტია, რომ მშობლები ვეღარ მიყურებენ და ვერ იზიარებენ ჩემს წარმატებებს. მართლა ძალიან მაკლია მათი მხარდაჭერა. როცა დარბაზში მშობელი ესწრება და ორთაბრძოლას უყურებს, მეტი მოტივაცია აქვს სპორტსმენს. ჩემს შემთხვევაში რთულია გავაცნობიერო, რომ ისინი ვეღარ დამესწრებიან და ვერ გამაძლიერებენ. ახლა დეიდა და ბიძა მესწრებიან ხოლმე, როცა ისინი დარბაზში მეგულება, თავს მარტო აღარ ვგრძნობ. სამწუხაროდ, არც დედმამიშვილი არ დამრჩა და ახლა ისინი არიან ჩემი ჯახი. მათ გარდა არავინ მყავს.

დედოფლისწყაროში 4 წლის ასაკიდან გადმოვედი, მანამდე კარდენახში ვცხოვრობდით. დედას ფილტვების პრობლემა ჰქონდა, ხშირად ავადმყოფობდა. მამას წნევა აწუხებდა. ჯერ 26 წლის დედა დამეღუპა, შემდეგ 36 წლის ასაკში მამა და ამას ისიც დაემატა, რომ 1 თვეში ბებია დავკარგე. მაგრამ, ამ ტკივილმა გამაძლიერა და საოცარი ძალა მომცა. სერიოზულად დავფიქრდი და საკუთარ თავს დავუსვი კითხვა - **რა მინდოდა ცხოვრებაში და რის მისაღწევად უნდა მებრძოლა, რომ არ დავცემულიყავი?...** არ მინდა ოჯახურმა ტკივილმა დამასუსტოს. მინდა, ადამიანებს დავუმტკიცო, რომ ტკივილი გვაძლიერებს. ჩემი მაგალითი კი მოტივაციის მიმცემი აღმოჩნდეს სხვებისთვის. ზედმეტსახელად „სმაილას“ მეძახიან, სულ ვიღიმი და მეგობრებმა ასე შემარქვეს. ვცდილობ, ჩემი პრობლემა და ტკივილი თავზე არავის მოვახვიო და ყველასთან პოზიტიური ვიყო. იშვიათად ვარ მოწყენილი. ბედს შევეგუე!... მიმაჩნია, რომ ადამიანს რაც უწერია, თავს ვერ აარიდებს. დედას ვგავარ, ისიც სულ პოზიტიური იყო, ხალისიანი და მუდამ მომღიმარი. **სამწუხაროდ, დედასთან ურთიერთობის რაიმე კონკრეტული ეპიზოდი ჩემს მეხსიერებას არ შემორჩა, რადგან ის უფრო პატარა ასაკში დავკარგე. ბევრი თვისებით მამსგავსებენ. ხშირად დავდივარ მშობლების საფლავზე, ვასუფთავებ და სანთელს ვანთებ.**

დედის როლს ჩემს ცხოვრებაში დეიდა ასრულებს, ისიც ძალიან მგულშემატკივრობს. მხარს მიჭერს ჩემს მიზნებში. არ არის წინააღმდეგი, რომ სამხედრო საქმეს გავყვე. ამბობს, რომ კარგია, თუმცა რისკია. დედაჩემის ძმაც მხარში მიდგა, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი შექმნა და პატარა შვილები ჰყავს, ყველანაირად ცდილობს, ყურადღება მომაქციოს.

საბედნიეროდ, ნათესავების გარდა, კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ბავშვობიდან გვერდში მიდგანან. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩემი მეზობელი ივანე გიგოლაშვილი, რომელიც ხელს მიწყობს, ხშირად დავუფინანსებივარ და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ათი წელია მის მხარდაჭერას ვგრძნობ, ყველანაირად ცდილობს სპორტს არ ჩამოვშორდე და განვითარდე. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მას ამ თანადგომისთვის.

- თავის სარჩენად მცირე ასაკიდან ფიზიკური შრომა მიწევს. ყველანაირი სირთულის სამუშაოზე წავსულვარ, რომ საკუთარი ფული მქონოდა. შრომა არასოდესაა სათაკილო და არ მეზარება მუშაობა.

- როგორ ფიქრობ, მავნე ჩვევები უფრო პოპულარულია, თუ ჯანსაღი ცხოვრება?

-მიმაჩნია, რომ სიგარეტი „სამარიაჟო“ არ არის და ცდებიან ის ახალგაზრდები, რომლებიც ასე ფიქრობენ. ქუჩას და მეგობრებს რაც შეეხება, ამას ჩემზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. იციან, რომ ვვარჯიშობ, ჯანსაღი ცხოვრების უპირატესობას ვაღიარებ და ცდილობენ გამიგონ. ჩემს ირგვლივ მწეველები არ იყვნენ და ალბათ ამიტომაც, ცუდი გავლენის ქვეშ არ მოვქცეულვარ.

- ფეხბურთის მოედანზეც მახსოვხარ...

- კი, ფეხბურთიც ძალიან მიყვარს, კარგად ვთამაშობდი, მაგრამ შემდეგ რაიონული გუნდი დაიშალა და ამიტომ მოვიკოჭლე. ბოლო ხანს კრივი უფრო მომწონს. ახლა მეთორმეტე კლასში ვსწავლობ და მინდა ჩემს პედაგოგებს დიდი მადლობა ვუთხრა, რომ ყველანაირად ხელს მიწყობენ, მგულშემატკივრობენ. ძლიერი მოსწავლე არ ვარ, მაგრამ ვცდილობ, სხვა კუთხით ვასახელო ისინი. სწავლის გაგრძელებაზე არ ვფიქრობ, უფრო ჯარისკაცობაზე ვოცნებობ. ძალიან მინდა სამხედრო საქმეს გავყვე. უზომოდ მომწონს ჯარის ცხოვრება. ესეც თამაზ ყარაგვეზაშვილის დამსახურებაა. მან შემაყვარა ჯარი. საქართველოს ისტორია კარგად ვიცი, ბევრი გმირი გვყოლია, ბევრი სასახელო ადამიანია. მეც მინდა სამშობლოს ვემსახურო, მისაბაძი ვიყო. ბავშვობიდან ეს ფიქრები მიზის თავში და სულ ამაზე მეფიქრება. იმედი მაქვს, ეს ოცნება ამიხდება და ღირსეულად ვემსახურები ჩემს სამშობლოს.

ესაუბრა
ილია მარტყოფლიშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 19.04	სამშაბათი 20.04	ოთხშაბათი 21.04	ხუთშაბათი 22.04	პარასკევი 23.04	შაბათი 24.04	კვირა 25.04
დღე	21°	22°	23°	21°	19°	17°	18°
ღამე	11°	11°	10°	9°	8°	8°	8°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.